იურიდიული
დახმარების
სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახურის პროექტი

პარალეგალები

იურიდიული დახმარების სამსახური არის დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივ დახმარებას გადახდისუუნარო ბენეფიციარებისათვის, ხოლო სამართლებრივ კონსულტაციას - ნებისმიერი პირისათვის.

ის არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. სამსახური, ბიუროების და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, ამჟამად, წარმოდგენილია საქართველოს 38 მუნიციპალიტეტში.

იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს პროექტს - **პარალეგალები.** პროექტის მიზანია საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და მართლმსაჯულებაზე თითოეული ადამიანის ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ვინ არის პარალეგალი?

- პარალეგალი არის ნებისმიერი პროფესიის მქონე პირი და/ან სტუდენტი, რომელსაც არ აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგრამ აქვს საჭირო ცოდნა და უნარები, რომ მოსახლეობას გაუწიოს პირველადი კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ პარალეგალი სხვადასხვა აქტუალურ სამართლებრივ საკითხებში გადამზადდება.



რა ფუნქცია აკისრია პარალეგალს?

- ის საქმიანობას ახორციელებს იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, მოხალისეობრივ საწყისებზე;
- პარალეგალი მისთვის ხელმისაწვდომ გარემოში ან სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ლოკაციაზე, ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდებს ინფორმაციას მათი უფლებების, კანონის სწორად გამოყენების, უფლებების დაცვის მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ;
- პარალეგალს შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს სამსახურის მიერ დაგეგმილ საინფორმაციო-გასვლით ან სხვა სახის ღონისძიებებში;
- შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით, ორგანიზებას გაუწევს სამსახურის წარმომადგენლების და მოსახლეობის შეხვედრებს;
- უზრუნველყოფს მოსახლეობაში სამსახურის მიერ საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადებული საინფორმაციო მასალების გავრცელებას;
- მონაწილეობას მიიღებს სამსახურის მიერ ორგანიზებულ ანალიტიკურ კვლევებში და ექნება შესაძლებლობა ადვოკატირება გაუწიოს სამსახურის ინიციატივით წარმოებულ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებს.

ვინდა გახდე პარალეგალი?

მაშინ, გაიარე რეგისტრაცია აქ: www.las.ge

უფასო იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი:

1485 ან 032 292 00 55

ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

ვებ-გვერდი: www.las.ge

www.children.las.ge

ბროშურა მომზადდა **იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) დაფინანსებით.

ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **იურიდიული დახმარების სამსახური** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

მობილური აპლიკაცია: